სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„20“ 11 “ *2013 წელი*

ეგზ. № 2

აბაშის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში განხორციელებული სოციალური პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 48/00

2013 წელი

შინაარსი

აუდიტის ძირითადი მიზანი 3

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 3

აუდიტორის პასუხისმგებლობა 3

პროგრამის მოკლე მიმოხილვა 4

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ 7

ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა 7

მზრუნველობა მოკლებული მოსახლეობის უფასო კვება 11

ომის მონაწილე ვეტერანების დახმარების პროგრამა 12

მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული მომსახურების პროგრამა 13

აუდიტის დასკვნა 14

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი ..... **Error! Bookmark not defined.**

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ..... **Error! Bookmark not defined.**

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის მიზანია:

- ✓ დასკვნის გაცემა აბაშის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში ადგილობრივი მოსახლეობისათვის სოციალური პროგრამების ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობაზე.

აუდიტის დასკვნაში აისახა:

- *მართლზომიერი ხარჯვა* - საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და პროდუქტიულად ხარჯვის ვალდებულების დაცვა.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, ორგანიზაციაში იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა და ზედამხედველობა, რომ აბაშის მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დახმარების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, თუ რამდენად შეესაბამება აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს, ასევე, რამდენად ეკონომიურად და პროდუქტიულად დაიხარჯა ფინანსური სახსრები. აუდიტი ჩატარებულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ეთიკის ყველა ის მოთხოვნა,

რომელთაც ითვალისწინებს აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

პროგრამის მოკლე მიმოხილვა

აბაშის მუნიციპალიტეტში სოციალური პროექტების განხორციელებას კოორდინაციას უწევს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. სამსახური საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმრთველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ“, „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ“ საქართველოს კანონებით, საკრებულოს დადგენილებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს თავმჯდომარის/გამგებლის სამართლებრივი აქტებით, სამსახურის დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით; კომპეტენციის ფარგლებში სამსახური ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

- ✓ შრომის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკისა და აბაშის მუნიციპალიტეტის თვიმმართველობის მიერ დასახული ძირითადი პრიორიტეტებისა და მიმართულებების განხორციელების უზრუნველყოფა;

- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში საქმიანობის კოორდინაცია. ადამიანისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა და პროგრამების შემუშავება, მონიტორინგი;
- ✓ სოციალური დაცვის სფეროში გასატარებელ ღონისძიებათა შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;
- ✓ სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა, მიზნობრივი ჯგუფების (უმუშევრები, პენსიონერები, შეზღუდული შესაძლებლობის პირები, მრავალშვილიანები, ვეტერანები, დევნილები და სხვ.) საჭიროებების შესწავლა, მათზე შეღავათების დაწესების შესახებ წინადადებების მომზადება, სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება;
- ✓ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

სოციალური პროგრამების ფარგლებში, დახმარებების სახით აბაშის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში სულ გაცემულია - 308.6 ათასი ლარი. აქედან, 2011 წელს 9 პროგრამის ფარგლებში გაცემულია - 92.8 ათასი, ხოლო 2012 წელს დაფინანსდა 12 პროგრამა, საერთო თანხით - 215.8 ათასი ლარი.

2011 წელს აბაშის მუნიციპალიტეტი ახორციელებდა შემდეგ სოციალურ პროგრამებს:

- ➢ ომის მონაწილე გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახების დახმარება;
- ➢ გარდაცვლილ დევნილთა ოჯახების დახმარება;
- ➢ ომის მონაწილე ვეტერანების დახმარება;
- ➢ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დახმარება;
- ➢ მე-3 და მეტი ახალშობილთა ოჯახების დახმარება;
- ➢ დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება;

- ჯანმრთელობაგაუარესებული შეჭირვებული მოსახლეობის დახმარება;
- სტიქიით მიყენებული ზარალისას (ხანძარი, ქარი, წყალდიდობა და ა.შ.) უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დამხარება;
- მზრუნველობა მოკლებული მოსახლეობის უფასო კვება.

აღნიშნულ პროგრამებს 2012 წელს დაემატა:

- სოციალურად დაუცველთა ერთჯერადი ფულადი დახმარება;
- სოციალურად დაუცველთა სტაციონალური დახმარება;
- 100 წლის და 100 წელზე მეტი ასაკის უხუცესთა დახმარება;

დიაგრამაზე მოცემულია 2011-2012 წლებში ცალკეული სოციალური პროგრამების ფარგლებში გაწეული დანახარჯები.



დიაგრამა 1. 2011-2012 წლების სოციალური პროგრამებისა და მათზე გაწეული დანახარჯები (ათასი ლარი)

2011 წელს სოციალური პროგრამის ფარგლებში სულ დახმარება გაეწია 464 ადამიანს, ხოლო 2012 წელს - 954-ს. სოციალური პროგრამების ბიუჯეტი 2012 წელს, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 132%-ით, ხოლო პროგრამაში მონაწილე

ადამიანების რაოდენობა შეადგენს 105%-ს. აღნიშნული განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

1. 2012 წლის მარტში სოციალურ პროგრამებს დაემატა „მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული მომსახურების პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც ერთ ადამიანზე დანახარჯები გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა პროგრამის ფარგლებში;

2. 2012 წლის ივლისში, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით[1] - „მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული მომსახურებისა“ და „სოციალურად დაუცველთა ერთჯერადი ფულადი დახმარების“ პროგრამების ფარგლებში, მოიხსნა დაწესებული თანხობრივი ლიმიტები. განმცხადებელზე ასანაზღაურებელი თანხის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს მიერ შექმნილი კომისია, რის გამოც გაიზარდა ერთ ადამიანზე ანაზღაურებული თანხა.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ

ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა

აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის, სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების მიზნით, გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება.

საკრებულოს განკარგულების შესაბამისად, 2011 წელს აბაშის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ერთჯერადი ფულადი დახმარება ხორციელდებოდა „ჯანმრთელობაგაუარესებული შეჭირვებული მოსახლეობის დახმარების“ პროგრამით, რომლის ფარგლებში მაქსიმალურად გასაცემი თანხა

[1] 2012 წლის 13 ივლისის №60 განკარგულება; 2012 წლის 31 ივლისის №63 განკარგულება.

შეადგენდა 100 ლარს. პროგრამა ძირითადად მიმართული იყო შეჭირვებული მოსახლეობის სხვადასხვა სამედიცინო საჭიროებების დასაფინანსებლად. დახმარების მისაღებად განმცხადებელს უნდა წარმოედგინა შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება.
- პირადობის მოწმობის ასლი.
- ცნობა სამედიცინო დაწესებულებებიდან ჯანმრთელობის შესახებ (სტაციონარი, პოლიკლინიკა, ამბულატორია, დისპანსერი).
- შუამდგომლობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიული მართვის ორგანოს რწმუნებულისაგან (საჭიროების შემთხვევაში).
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობის ასლი ან ცნობა სოც. მომსახურების სააგენტოდან (ქულა უნდა იყოს არა უმეტეს 100 000[2]).
- დაბადების მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში).

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 2011 წელს დახმარების მისაღებად განაცხადი შემოიტანა 271-მა მსურველმა, ხოლო კომისიის გადაწყვეტილებით დახმარება გაეწია 262 განმცხადებელს. მთლიანობაში, ჯანმრთელობაგაუარესებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარებისთვის გაცემულია 26 200 ლარი.

2012 წლის ივლისში, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების შესაბამისად, ჯანმრთელობაგაუარესებული მოსახლეობის „ერთჯერადი დახმარების პროგრამა“ ჩაანაცვლა „ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამამ“.

ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, კომისია დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს დახმარების მსურველი პირი და ყველა განცხადებას განიხილავს ინდივიდუალური მიდგომით. გაუქმდა იმ დოკუმენტაციის წარმოდგენის

[2] 2012 წელს გაიზარდა და გახდა 120 000 ქულა.

საჭიროება, რომელიც მოითხოვებოდა „ჯანმრთელობაგაუარესებული მოსახლეობის დახმარების პროგრამის“ ფარგლებში და წარმოსადგენი დოკუმენტაცია (სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა და ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან) მოითხოვება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად.

2012 წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შემოსული 665 განცხადებიდან, ყველა დაკმაყოფილდა და პროგრამის ფარგლებში გაცემულმა საერთო თანხამ შეადგინა 79 035 ლარი.

<u>გამოვლენილი გარემოება</u>

1. „ერთჯერადი დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, 2012 წლის ივლისიდან ბენეფიციარის წარმოსადგენი დოკუმენტაცია და დახმარების ოდენობა დიდწილადაა დამოკიდებული საკრებულოს მიერ შექმნილი „სოციალური დაცვით განსაზღვრული პროგრამებისა და სოციალური დახმარების გაცემის კომისიაზე“. ობიექტური კრიტერიუმების არარსებობის შედეგად, არსებობს იმის მაღალი რისკი, რომ არ მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული თანხების სამართლიანი განაწილება. ასევე შესაძლებელია, კომისიამ არასწორად განსაზღვროს დახმარების მაქსიმალური მოცულობები და შესაბამისად, ვერ უზრუნველყოს გამოყოფილი თანხების ოპტიმალური ხარჯვა. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ პროგრამის ფარგლებში არსებული სახსრები სრულად გაიხარჯა პირველი 9 თვის განმავლობაში, რის შემდეგაც ამ პროგრამით გამოყოფილი თანხების ხარჯვა არ მომხდარა ბიუჯეტში თანხების არარსებობის გამო.

დიაგრამა 2. ერთჯერადი სოციალური დახმარება - 2012 წელი (ლარი)



2. 2012 წელს აბაშის მუნიციპალიტეტის სოციალურ სამსახურს განსახილველად გადაეცა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გაგზავნილი 5 მოქალაქის წერილი, სადაც განმცხადებლები ითხოვდნენ ერთჯერადი ფულადი დახმარებების მიღებას. აღნიშნული განცხადებები განიხილა საკრებულოს მიერ შექმნილმა „სოციალური დაცვით განსაზღვრული პროგრამებისა და სოციალური დახმარების გაცემის კომისიამ“ დაადგინა, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ ყველა იმ კრიტერიუმს, რაც თანხის მისაღებად იყო საჭირო, თუმცა, ბიუჯეტში შესაბამისი თანხის არარსებობის გამო, მათ დასახმარებლად თანხების გამოყოფა გადაწყდა 2013 წლის ბიუჯეტიდან. პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გადმოგზავნილ მოქალაქეთა განცხადებებში აღნიშნულია, რომ მათ არაერთხელ მიმართეს აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობას, მაგრამ უარი ეთქვათ დახმარების მიღებაზე. შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ მოქალაქეები სხვა ინსტანციაში წერილის გაგზავნამდე გადიოდნენ ზეპირ კონსულტაციას გამგეობის წარმომადგენლებთან. თუმცა, მუნიციპალიტეტიდან არასაკმარისი ინფორმაციის მიღების შემდეგ, აღარ შემოჰქონდათ განცხადება სოციალური დახმარების მიღების მოთხოვნით და შესაბამისად, ვერ იღებდნენ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას.

3. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სოციალური დახმარების მისაღებად მოქალაქეები ჯერ გადიან ზეპირ კონსულტაციებს გამგეობის სოციალური სამსახურის წარმომადგენლებთან და შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებას შემოიტანონ თუ არა განცხადება პროგრამაში მონაწილეობაზე. აღნიშნული გარემოება არის სოციალური პროგრამების სისტემური ნაკლოვანება, რადგან შესაძლებელია პროგრამაში ვერ მოხვდეს ისეთი ბენეფიციარი, რომელსაც რეალურად ეკუთვნის დახმარების მიღება. მიზანშეწონილია, რომ გამგეობამ დახმარების მსურველი ყველა მოქალაქისაგან მიიღოს განცხადებები და შემდეგ სპეციალურმა კომისიამ გადაწყვიტოს, უნდა ჩაისვას თუ არა განმცხადებელი ამა თუ იმ პროგრამაში.

4. ერთჯერადი სოციალური დახმარებების ერთიანი ბაზის გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ერთჯერადი ფულადი დახმარება 9 შემთხვევაში გაცემულია ერთი ოჯახის წევრებზე. აღსანიშნავია, რომ შესაბამისი მონაცემების არარსებობის გამო, გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისა, აუდიტის ჯგუფი ვერ ადგენს, იყო თუ არა სხვა შემთხვევებიც, როდესაც თანხები გაცემულ იქნა ერთი და იმავე ოჯახის რამდენიმე წევრზე.

მზრუნველობა მოკლებული მოსახლეობის უფასო კვება

2011-2012 წლებში მზრუნველობა მოკლებული მოსახლეობის უფასო კვების პროგრამის ფარგლებში სულ გაიხარჯა 82.2 ათასი ლარი, 2011 წელს - 38.1 ათასი ლარი, ხოლო 2012 წელს - 43.1 ათასი ლარი. ყოველწლიურად პროგრამით სარგებლობს 50-50 ბენეფიციარი. სოციალურ სამსახურს ასევე აღრიცხული ჰყავს პროგრამაში მონაწილეობის მსურველი ადამიანები. 2011 წელს პროგრამაში მონაწილეობაზე დამატებით განცხადება შეტანილი ჰქონდა 9 მოქალაქეს, ხოლო 2012 წელს - 7 მოქალაქეს.

<u>გამოვლენილი გარემოება</u>

„მზრუნველობა მოკლებული მოსახლეობის უფასო კვების პროგრამის“ ფარგლებში, ერთ ბენეფიციარზე ყველა ხარჯის გათვალისწინებით, 2011-2012 წლებში საშუალოდ იხარჯება 2.245 ლარი. 2011 წელს ერთ ბენეფიციარზე დახარჯულმა თანხამ შეადგინა 2.09 ლარი, ხოლო 2012 წელს - 2.4 ლარი. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 2011 წლის ბიუჯეტის მიხედვით, სოციალური პროგრამებიდან დარჩენილმა თანხამ შეადგინა 5.1 ათასი ლარი, ხოლო 2012 წელს - 23.6 ათასი ლარი, ბიუჯეტის სწორად დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა პროგრამაში ჩართულიყვნენ ის ადამიანები, რომელთაც შეტანილი აქვთ განცხადება პროგრამაში მონაწილეობაზე, თუმცა დაფინანსების არარსებობის გამო, ვერ იღებენ აღნიშნულ დამარებას.

ომის მონაწილე ვეტერანების დახმარების პროგრამა

აბაშის მუნიციპალიტეტი 2011-2012 წლებში ახორციელებს „ომის მონაწილე ვეტერანთა ერთჯერადი დახმარების პროგრამას“, რომლის ფარგლებშიც ომის მონაწილე ვეტერანებზე ერთჯერადად გაიცემა 100-ლარიანი დახმარება. პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ განცხადება;
- ✓ პირადობის მოწმობის ასლი;
- ✓ ვეტერანის სტატუსის მოწმობის ასლი;
- ✓ ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში).

მთლიანად, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, გახარჯულმა თანხამ შეადგინა 9.7 ათასი ლარი. აქედან, 2011 წელს პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 47 ვეტერანს, საერთო თანხით - 4.7 ათასი ლარი, ხოლო 2012 წელს – 50 ომის მონაწილეს, საერთო თანხით - 5 ათასი ლარი.

გამოვლენილი გარემოება

2012 წელს „ომის მონაწილე ვეტერანების დახმარების პროგრამის“ ფარგლებში ერთსა და იმავე პიროვნებაზე ერთჯერადი დახმარება გაიცა 2-ჯერ. პირველ შემთხვევაში, თავად ვეტერანის მომართვის საფუძველზე, ხოლო მეორე შემთხვევაში - მისი მეუღლის განცხადების საფუძველზე. სამომავლოდ სასურველია, აღნიშნულ სამსახურში შემუშავდეს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანობის დაცვას, ხოლო თუ მოქალაქეზე დახმარების გაწევა აუცილებელია, შესაძლებელი იყოს სხვა პროგრამის ფარგლებში მისი დახმარება ან გამონაკლისის დაშვება არგუმენტირებულ იქნეს შესაბამისი დოკუმენტაციით.

მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული მომსახურების პროგრამა

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2012 წლის 22 მარტის №23 განკარგულებით დაამტკიცა „მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული მომსახურების პროგრამა“. პროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილდა 70 განცხადება და საერთო დანახარჯმა შეადგინა დაახლოებით 70 ათასი ლარი. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

- ✓ სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ფორმა №100. ანგარიშფაქტურა (ნოზოლოგიის კალკულაცია);
- ✓ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ასლი;
- ✓ დაბადების მოწმობა (საჭიროების შემთხვევაში).

პროგრამის მიხედვით, სამკურნალო ღონისძიებების დაფინანსება 700 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში, განსაზღვრული იყო 100%-ით, ხოლო 701 ლარიდან ზემოთ - 70%-ით, თუმცა არა უმეტეს - 2000 ლარისა. აღნიშნული კრიტერიუმები შეიცვალა 2012 წლის 31 ივლისის განკარგულებით და კომისიას უფლება მიეცა დაფინანსების ოდენობა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე განესაზღვრა ინდივიდუალურად, ყოველი შემთხვევისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ თანხის ჩარიცხვა თითოეული შემთხვევისთვის ხდება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე, რაც გამორიცხავს პროგრამის ფარგლებში ზედმეტი თანხების ანაზღაურებას.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, აბაშის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში „სოციალური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიხეილ ჩიქოვანი აუდიტორ–ასისტენტი		18.11.2013
	ხელმოწერა	თარიღი
თამთა გელაშვილი აუდიტორ- ასისტენტი		18.11.2013
	ხელმოწერა	თარიღი
შალვა ბუცხრიკიძე აუდიტორ- ასისტენტი		18.11.2013
	ხელმოწერა	თარიღი